საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №190/ნ
2017 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებაში (სსმ, №140, 29/10/2010, 430210000.22.022.016026) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“:

1. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ტესტირება, შესაბამისი საგნის მიხედვით, ოლიმპიადის ტურების შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და ცენტრის მიერ მეორე და მესამე ტურისთვის შერჩეულ ქალაქებში ტარდება ერთდროულად, გარდა ამ მუხლის 4^1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.“;

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური გალის რაიონის ტერიტორიაზე და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ოლიმპიადის მონაწილეებისთვის შესაძლოა ჩატარდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტისგან განსხვავებული წესით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **მიხეილ ჩხენკელი**